ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N17

27.12.2022 *ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2*
15:00 საათი *ოთახი 3-01*

მიმდინარე წლის 27 დეკემბერს, 15:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ირაკლი ეძგვერაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032234375-03, 09.12.2022წ.),*
   მომხსენებელი - **გაიოზ თალაკვაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტი კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 632 132,6 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 305 418,2 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 326 714,4 ათასი ლარით, ხოლო 2023 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (1 438 775,2 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 193 357,4 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის" მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 6 დეკემბერს მიღებული წერილის გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება დამატებული ღირებულების გადასახადი 33 356,8 ათასი ლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყოფა 170 000,0 ათასი ლარი. ასევე, დაზუსტდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა კაპიტალური გრანტების სახით (34 000,0 ათასი ლარი) მისაღები შემოსავლები თბილისის მეტროს პროექტის (EBRD) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის 10 000,0 ათასი ლარით შემცირების ხარჯზე. ჯამში 203 000,0 ათასი ლარითაა გაზრდილი პროექტები.

აღნიშნული 203 000,0 ათასი ლარი გადანაწილებულია შემდეგ მიმართულებებზე: ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურული პროექტები 15 000,0 ათასი ლარი, ავტობუსების ბაზა 60 000,0 ათასი ლარი, ტრანსპორტის სუფსიდია 10 000,0 ათასი ლარი, წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია 25 000,0 ათასი ლარი, ეს გახლავთ 2023 წელს გათვალისწინებული თანხა, თუმცა მთლიანად გამზირის რეაბილიტაციისათვის პროექტით 45 000,0 ათასი ლარია გათვალისწინებული. დიდუბის ხიდის რეაბილიტაცია 4 000,0 ათასი ლარი, მშვიდობის ხიდის რეაბილიტაცია 2 000,0 ათასი ლარი, შალიკაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია 7 000,0 ათასი ლარი. ზოოპარკს ემატება 3 000,0 ათასი ლარი, ხოლო ბოტანიკურ ბაღს 2 000,0 ათასი ლარი, თბილსერვის ჯგუფს ემატება 11 000,0 ათასი ლარი, ხელოვნების სკოლების და ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია იზრდება 2 000,0 ათასი ლარით, სოფელ დიდ ლილოში დარბაზის აღჭურვას ემატება 1 000,0 ათასი ლარი, მულტიფუნქციური ცენტრის აღჭურვას 2 500,0 ათასი ლარი, დიღმის მასივის მესამე კვარტალში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მოსაწყობად გათვალისწინებულია 2 000,0 ათასი ლარი, სკეიდ პარკების და სტადიონების მოსაწყობად გათვალისწინებულია 3 000,0 ათასი ლარი, გარდა ამისა გარდამავალი ნაშთიდან მოხდება გარკვეული სახსრების დამატება აღჭურვის ნაწილში არშემდგარი ტენდერების გათვალისწინებით.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია, კომისიის ყველა მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტით სპორტის განვითარების ხელშეწყობის (08.06) და ახალგაზრდული ღონისძიებების (08.08) ბიუჯეტი 34 000, 0 მილიონ ლარს შეადგენს, რაც 2022 წლის ბიუჯეტთან შედარებით 5 000,5 მილიონი ლარით მეტია. მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამით დაფინანსდება 49 სპორტული სახეობის, 350 მწვრთნელ-მასწავლებელი, მ.შ კაცი - 282, ქალი - 68. წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისებით 18 წლამდე ასაკის 260 მოზარდი; სპორტული მოედნების მშენებლობა რეკონსტრუქციას 3 000, 0 მილიონ 200,0 ათასი ლარი მოხმარდება, მათ შორის, მოეწყობა ვაზისუბნის დასახლებაში ფეხბურთის მოედანი და სკეიტ-პარკი, ხოლო ვაჟა-ფშაველას გამზირზე მხოლოდ სკეიტ-პარკი; სპორტული

დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობის ბიუჯეტი 16 000, 0 მილიონ ლარამდეა, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის, ასევე დიდ-დიღომში და ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრების სპორტული და ტექნიკური ინვენტარით აღჭურვა, გაგრძელდება ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაიწყება დიღმის მასივის, მე-3 კვარტალში არსებული სპორტული ცენტრის და მუხიანის რაგბის კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები; პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა 1 მილიონ 600 ათას ლარზე მეტით დაფინანსდება, პარაცენტრში 15 სახეობაში მიმდინარეობს საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი, რომელშიც 232 პარასპორტსმენია ჩართული, მ.შ. კაცი - 204 და ქალი - 28; ახალი სოციალური ქვეპროგრამა სპორტი უფროსი თაობისთვის გაგრძელდება და კიდევ უფრო მეტი ბენეფიციარი ისარგებლებს, პროგრამით 60 წლის და 60 წელს გადაცილებული პირები საცურაო აუზებით და სატრენაჟორო დარბაზებით უფასოდ სარგებლობენ, ჯამში 700 ბენეფიციარი.

ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა 5 000,5 მილიონი ლარით დაფინანსდება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ახალგაზრდების სტარტაპ იდეებისა და სოციალური მეწარმეობის ინიციატივების დაფინანსება. გაგრძელდება თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა, საჯომარდო და სალაშქრო ტურების განხორციელება.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეების დაფინანსება და სამგორის და ჩუღურეთის ფილიალის შენობების სრული რეაბილიტაცია.

ასევე, რაიონის კეთილმოწყობის ღონისძიებების ნაწილში 2023 წელს, სპორტული ინფრასტრუქტურისთვის დაიხარჯება 4 000,0 მილიონ ლარამდე. მოეწყობა 15 ახალი სპორტული მოედანი, შეკეთება-რეაბილიტაცია ჩაუტარდება 26 სპორტულ სტადიონს. ასევე სხვადასხვა მისამართზე მოეწყობა 17 ფიტნეს ტრენაჟორების კომპლექტი.

თბილისის 10-ვე რაიონში კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები განხორციელდება.

2023 წლის ბიუჯეტის ფარგლებში გაგრძელდება უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეებში. ასევე, დაფინანსდება უფასო სწავლება სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში.

ავთანდილ ცინცაძე - სოფელ დიღმის დარბაზთან დაკავშირებით რა იგეგმება?

გიორგი ჩაკვეტაძე - როგორც ინფორმაცია გვაქვს, რაიონულ გამგეობებში კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ბიუჯეტის გაზრდა მოხდება გარდამავალი ნაშთის გათვალისწინებასთან ერთად.

გაიოზ თალაკვაძე - სოფელ დიღმის დარბაზთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება სამინისტროსთან, რომელიც გამოთქვამს მზაობას აღნიშნული დარბაზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. 2023 წელს დარბაზი უსათუოდ გაკეთდება, უბრალოდ შევათანხმებთ დაფინანსების წყაროზე, ეს იქნება სამინისტროს, თუ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. დიახ, რაიონულ გამგეობებში კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამის გაზრდას შევძლებთ 2023 წლის ბიუჯეტში ნაშთის ასახვის შემდეგ.

ვლადიმერ ბოჟაძე - მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამის ზრდა თუ მოხერხდება ბიუჯეტის ნაშთის ასახვის შემდეგ ძალიან კარგი იქნება.

ირაკლი გვილავა - გვაქვს გარკვეული გამოწვევა სოფელ დიღმის სპორტულ ობიექტთან დაკავშირებით, რაზეც მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რაც შეეხება მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამას ეს საკითხი უფრო დეტალურად უნდა განვიხილოთ იანვარში, გარდამავალი ნაშთის ასახვის შემდეგ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ირაკლი ეძგვერაძე (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:  გიორგი ჩაკვეტაძე